

„ადგილობრივი დემოკრატიის გარეშე დემოკრატიული განვითარება შეუძლებელია“- ALDA -ს გენერალური ასამბლეა 2023

2023 წლის ივნისში ALDA-ს გენერალური ასამბლეა, რომელიც წარმოადგენს წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, გაიმართება ბრიუსელში, ეტერბეკში (BE).

გენერალური ასამბლეა იქნება სამ დღიანი ღონისძიება, სადაც ALDA-ს კოლეგები, წევრები და პარტნიორები გაერთიანდებიან ევროკავშირის ძირითად პრიორიტეტებზე სასაუბროდ, ასევე ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის ისეთ თემებზე, როგორცაა: მიგრაცია, ინკლუზია, გენდერი, თანასწორობა, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები და ა.შ. ღონისძიებაზე წარმოდგენილი მონაწილეები გაიცნობენ ერთმანეთს, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს ასოციაციაში შემავალი წევრების ქსელის გაფართოებას.

ღონისძიებაზე წარმოდგენილნი იქნებიან მონაწილეები ევროკავშირის ქვეყნებიდან, ბალკანეთიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან, უკრაინიდან, მალრიბიდან და აფრიკის სხვა ქვეყნებიდან. გენერალურ ასამბლევას გახსნის ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი და კომისარი, ქალბატონი დუბრავეკა შუიცა. მოწვეულია ევროსაბჭოს კონგრესის პრეზიდენტი ბატონი ლინ ვერბეკი (tbc). ასევე, ღონისძიებას დაესწრებიან ევროკომისიის და ევროპარლამენტის სხვა წარმომადგენლებიც.

ALDA-ს გენერალური ასამბლეა გაიმართება 2023 წლის 7-8-9 ივნისს, ეტერბეკის მერიის შენობაში (რომელიც გახლავთ ALDA-ს წევრი), ბრიუსელში.

ლონისძიების მთავარი გზავნილია - „ადგილობრივი დემოკრატიის გარეშე დემოკრატიული განვითარება შეუძლებელია“. მთელი ლონისძიება გამიზნული იქნება ზოგადი და გლობალური საკითხების გადასაჭრელად. კერძოდ, იმ საკითხების, რომელთაც აქვს ძლიერი გავლენა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ადგილობრივ დონეზე. გენერალური ასამბლეის ყველა ლონისძიება ფოკუსირებული იქნება ადგილობრივი დემოკრატიის როლზე და მონაწილეობის მექანიზმებზე.

დარეგისტრირდით ახლავე და შეუერთდით ლონისძიებას!

მოეწყობა კონფერენციები, მრგვალი მაგიდები და სამუშაო შეხვედრები მაღალი დონის პანელისტების მონაწილეობით, რათა წაახალისონ დისკუსია და დაამყარონ კონსტრუქციული დიალოგი ინსტიტუტებთან. მათ შორის, ALDA-ს გენერალურ ასამბლეას დაესწრებიან ევროკომისიის და ევროსაბჭოს წარმომადგენლები. მოქალაქეთა თანასწორობის, უფლებებისა და ღირებულებების პროგრამის განყოფილების ხელმძღვანელი, ჟილ პელაიო, მიიღებს მონაწილეობას მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაში, რომლის თემაც გახლავთ ახალგაზრდების გაძლიერება და განათლება. ევროკომისიის გენდერის, ადამიანის უფლებების და დემოკრატიული მმართველობის განყოფილების ხელმძღვანელი, კიარა ადამო, ლონისძიებაზე ისაუბრებს ადგილობრივი დემოკრატიის შესახებ ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის რეგიონში.

2023 წელი მნიშვნელოვანი ეტაპია ALDA-სა და LDA -ების ქსელისთვის. 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ ბალკანეთში პირველი LDA შეიქმნა. ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტის შემდეგ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები ყოველწლიურად მუშაობენ უფრო ინკლუზიური საზოგადოებების შესაქმნელად. დღეს, 30 წლის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ LDA -ები

აღმოჩნდა ეფექტური ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ მოქალაქეების ჩართულობას და დეცენტრალიზებულ თანამშრომლობას ადგილობრივ დონეზე. გაფართოვდა თავად ასოციაციის ქსელი და წევრთა რიცხვი 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე. ამრიგად, ALDA-ს ღონისძიება წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ქსელის შემდგომი განვითარების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სესია ყურადღებას გაამახვილებს უკრაინაში ადგილობრივი დემოკრატიული სააგენტოების ვითარებაზე. ALDA-ს ჩართულობა უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერად გრძელდება და უფრო დიდ განზომილებებს იღებს, ახალი LDA-ები მალე გაიხსნება ქვეყანაში. ღონისძიებას შესაძლებელია დაესწროს შესაბამისი დელეგაცია უკრაინიდან, ისევე როგორც პარტნიორი ქალაქებიდან.

#ALDA უკრაინის მხარდასაჭერად

ALDA-ს ყველა წევრი, პარტნიორი და დაინტერესებული მხარე მოწვეულნი არიან ღონისძიებაზე.

გთხოვთ, დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ელფოსტაზე: alda@alda-europe.eu